

ვის ეკუთვნის ქართული მედია?

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“

აპრილი
2014 წელი



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“
თბილისი, აპრილი, 2014
ვებგვერდი: <http://transparency.ge/>

პროგრამა G-MEDIA ხორციელდება ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით. წინამდებარე დოკუმენტის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ და არ ასახავს აშშ-ის მთავრობის, USAID-ის ან IREX-ის შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი.....	4
მფლობელობის გამჭვირვალობა.....	5
შემოსავლები.....	5
ბაზრის კონცენტრაცია	6
ტელევიზია და რადიო.....	7
„რუსთავი 2“	7
ტელეკომპანია იმედი	10
GDS.....	12
ტელეკომპანია „მაესტრო“	15
ტელეკომპანია „კავკასია“	16
„მზე“, „პირველი სტერეო“, „პირველი რადიო“ და „02“	17
„გლობალ მედია ჯგუფი“ – GMG.....	19
ტელეკომპანია „ტაბულა“	20
TV3	22
„ობიექტივი“	23
„ევრიკა“	24
ტელეკომპანია „იბერია“	24
TV 11	26
„პალიტრა მედია“	26
რადიო „საქართველო“, Music Box, Black Sea Sat.....	27
ბეჭდური და ონლაინ მედია	28
„ასავალ-დასავალი“	28
„ალია“ და „კვირის ქრონიკა“	28
„ლიბერალი“	28
„რეზონანსი“	29
„ბათუმელები“ და Netgazeti.ge.....	29
Prime Time News.....	30
„პირველი“	30
დანართი 1:.....	31

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში იმ მედიასაშუალებების მფლობელობის საკითხია განხილული, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ, ან მოსახლეობის დიდ ნაწილს ფარავენ. კვლევაში ასევე აღწერილია მედიასაშუალებების მფლობელების წარსული საქმიანობა და მათი სხვა ბიზნეს ინტერესები.

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს წამყვანი ქართული მედიასაშუალებების მფლობელების გავლენიანი კავშირები და კორპორატიული ინტერესები.¹ აუდიტორიას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ ფლობს ქართულ მედიას და სხვა რომელი კომპანიები ასოცირდებიან ამა თუ იმ მედიასაშუალებასთან. აღნიშნული ინფორმაცია მაყურებელს, მკითხველსა თუ მსმენელს საშუალებას აძლევს უკეთ ამოიცნოს კონკრეტული მედიასაშუალების მიკერძოებული გაშუქების მაგალითები. ამასთან, საუბარია არა მხოლოდ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გავლენებზე, არამედ კორპორატიულ ინტერესებზეც, რომლებსაც შესაძლოა ეს მედიასაშუალება ემსახურებოდეს.

წინამდებარე ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმ სამაუწყებლო, ბეჭდვით და ონლაინ მედიასაშუალებებზე, რომელთა მაუწყებლობაც მთელ ქვეყანას ფარავს ან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვისაა ხელმისაწვდომი. ახლო მომავალში გამოქვეყნდება კიდევ ერთი კვლევა, რომლის ყურადღების ცენტრში ადგილობრივი მედიასაშუალებების მფლობელობის, მათი როლისა და დაფინანსების საკითხები მოექცევა. ადგილობრივი მედიასაშუალებები ქალაქებსა და სოფლად დისკუსიების წარმართვის კუთხით მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ. მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფონზე, რომლის შედეგადაც ივნისში დაგეგმილ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, 12 ქალაქში მერის პირდაპირი არჩევის წესი ამოქმედდება.²

წინამდებარე კვლევას საფუძვლად საჯარო ჩანაწერებიდან და მედიიდან მიღებული მონაცემები უდევს. იმის გამო, რომ არ არსებობს სრულყოფილი ბიზნეს ცნობარი და კომპანიები საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში ხშირად აქტიურ სუბიექტებად ფიქსირდებიან მაშინაც კი, როცა უკვე აღარ ფუნქციონირებენ, ყოველთვის არ არის შესაძლებელი იმის დადგენა, მოქმედია თუ არა ესა თუ ის კომპანია, ხოლო თუ მოქმედია, რომელ სექტორში. ამასთან, საქართველოში სააქციო საზოგადოებას (სს) აქციონერების გასაჯაროება არ მოეთხოვება, რის

¹ საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორის საკუთრების ანალიზისთვის გაეცანით ანგარიშს: „ინტერნეტის თავისუფლება - ვინ აკონტროლებს საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორს?“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, თებერვალი, 2013, <http://transparency.ge/post/report/state-of-internet-2012-geo>.

² იხ.: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „თვითმმართველობის კოდექსის ძირითადი სიახლეები“, 10 მარტი, 2014, <http://transparency.ge/blog/tvitmmartvelobis-kodeksis-dziritadi-siakhleebi>

გამოც რთულდება მედიასაშუალებების მფლობელთა ამგვარ კომპანიებთან კავშირების გამოვლენა.³

მფლობელობის გამჭვირვალობა

საქართველოში მედიასაშუალებების მფლობელობა, უმეტესად, გამჭვირვალეა, თუმცა რჩება რამდენიმე გამონაკლისი, სადაც აქციონერები საკუთარ კავშირებს ოფშორული კომპანიების მეშვეობით ნიღბავენ.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მედიასაშუალებების მესაკუთრეს აქვს, ან ჰქონდა გარკვეული კავშირი მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ ან ამჟამად ოპოზიციაში მყოფ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“, დღეის მონაცემებით, ქართული პოლიტიკის აქტიური სუბიექტები არ ფლობენ, არ აკონტროლებენ ან/და არ აფინანსებენ არც ერთ მსხვილ მედიასაშუალებას.

დღეისათვის, როგორც საკუთრების გამჭვირვალობის, ისე მედიაზე პოლიტიკური კონტროლის თვალსაზრისით ბევრი რამ უკეთესობისკენ არის შეცვლილი 2010 წელთან შედარებით, როდესაც ქვეყნის ყველაზე გავლენიანი მედიასაშუალებები მჭიდრო კავშირში იყვნენ მთავრობასთან, ან რომელიმე სხვა პოლიტიკურ ჯგუფთან. პოლიტიკურ ჯგუფებთან დაკავშირებული პირები მედიას ოფშორული სუბიექტების მეშვეობით აკონტროლებდნენ.⁴

შემოსავლები

მაუწყებლობის სფეროში მიღებული შემოსავლების 75% ორ სატელევიზიო არხზე ნაწილდება: 2013 წლის მეოთხე კვარტალში „რუსთავი 2“-ის მიერ დეკლარირებულმა შემოსავლებმა 15,2 მილიონი ლარი შეადგინა (მაუწყებელთა მთელი შემოსავლების 49%), ტელეკომპანია „იმედმა“ და რადიო „იმედმა“ კი 8,5 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავლები მიიღეს (მთელი შემოსავლების 26%). საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილი ფინანსური ანგარიშების თანახმად, 2013 წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში 56 ტელევიზიისა და რადიოს მიერ დეკლარირებული შემოსავლები 30,85 მილიონ ლარს უტოლდება.

ორი წამყვანი ეროვნული მაუწყებლის - „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ შემდეგ, სიდიდით მესამე მაუწყებელი „მაესტროა“ (2,5 მილიონი ლარი), მას მოჰყვება „რადიო საქართველო“ (1,3 მილიონი ლარი) და საკაბელო ტელევიზია „გლობალ მედია ჯგუფი“ (1 მილიონი ლარი). დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. დანართი 1.

საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა მედიასაშუალება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) ფორმითაა რეგისტრირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ საჯარო რეესტრში წლიური ფინანსური საჯარო ანგარიშების წარდგენის ვალდებულება არ აქვთ. შესაბამისად, ბეჭდვითი და ონლაინ მედიის

³ კვლევაში ასახულია მფლობელობის ცვლილებები 2014 წლის 1 მარტის მდგომარეობით.

⁴ იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“: „სატელევიზიო სივრცე საქართველოში - მფლობელები, მაკონტროლებლები და საკანონმდებლო გარემო“, დეკემბერი, 2009, <http://transparency.ge/post/report/satelevizio-sivtse-sakartveloshi-%E2%80%93mplobelebi-makontroleblebi-da-sakanonmdებლო-garemo>.

ფინანსების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია არ არსებობს, რადგან კომპანიების საგადასახადო ინფორმაცია საქართველოში კონფიდენციალურია.

ბაზრის კონცენტრაცია

მედიის სექტორში საკუთრების კონცენტრაციის მდგომარეობა შემფოთების საფუძველს არ იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი 2“-ზე მაუწყებლობის სფეროს მთელი შემოსავლების თითქმის ნახევარი მოდის, კომპანიასთან მხოლოდ ერთი მედიასაშუალებაა დაკავშირებული - გასართობი ტელევიზია „კომედი არხი“, რომელიც 2014 წლის თებერვლის მონაცემებით, პოპულარული არხების რეიტინგში ქვეყნის მასშტაბით მე -5 ადგილს იკავებს.⁵ პრაქტიკულად არც ერთი მსხვილი მედია ჯგუფი არ ფლობს ერთდროულად რამდენიმე მედია აქტივს სხვადასხვა სექტორში. ჰოლდინგი „კვირის პალიტრა“ ერთადერთი საყურადღებო გამონაკლისია, რომლის საქმიანობა ბეჭდვით, საგამომცემლო, ონლაინ, რადიო და სატელევიზიო სექტორებს მოიცავს.

რამდენიმე ტელეკომპანიას, მათ შორის „მეგსტროსა“ და „იმედს“, საკუთარი რადიო სადგური აქვს; „ტაბულა“ ფლობს ტელევიზიას, საინფორმაციო ვებ გვერდს და გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს ამავე სახელწოდებით. რადიო სექტორში „რადიო საქართველოს“ მტკიცე პოზიციები უკავია და ოთხი მუსიკალური არხი აქვს, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიას ფარავს.

მოქმედი წესების მიხედვით, „პირს უფლება აქვს, დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად ფლობდეს არა უმეტეს 1 საერთო საეთერო სატელევიზიო და 1 საერთო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიას თითო მომსახურების ზონაში.“⁶ საქართველოს ტერიტორიაზე ათი ასეთი სამაუწყებლო ზონაა.

სატელეკომუნიკაციო სექტორში ბაზრის კონცენტრაციას, თავის მხრივ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს. საკაბელო და სატელიტური მაუწყებლები, რომლებზეც ლიცენზირების რეჟიმი არ ვრცელდება (ისინი კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან მხოლოდ ავტორიზაციას საჭიროებენ) შეზღუდვებისაგან თავისუფლდებიან. შეზღუდვები არ ვრცელდება სპეციალიზებული საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე პირებზეც (გასართობი და შემეცნებითი მაუწყებლობა).

2015 წლის ივნისში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ ლიცენზირების მოდელი მთლიანად უქმდება. აქედან გამომდინარე, საჭირო იქნება ბაზრის კონცენტრაციის მოქმედი წესების გადახედვაც, რათა უზრუნველყოფილ იქნას პლურალიზმი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ.

⁵ „თი-ვი ემ-არ საქართველო,“ ნილსენის ლიცენზირებული წარმომადგენელი საქართველოში; მონაცემები იზომება ქალაქებში, მაყურებლის ასაკი 4 +, http://www.tvmr.ge/#/en/tam_results/1:136:-/17|02|2014 - 23|02|2014.

⁶ ურთიერთდამოკიდებულება განმარტებულია როგორც „ ურთიერთობა, რომელიც არსებობს, თუ ერთი პირი პირდაპირ ან ირიბად ფლობს მეორე პირის აქტივებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, არის მისი თანამდებობის პირი, ან მისთვის ან მისი აქციონერის, პარტნიორის ან თანამდებობის პირისთვის ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს; აგრეთვე თუ ერთი მაუწყებელი ახორციელებს მაუწყებლობას მეორე მაუწყებლის მეშვეობით.“ (საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ,“ მე-60 მუხლი).

ტელევიზია და რადიო

„რუსთავი 2“

„რუსთავი 2“-ის მფლობელები არიან: ლევან ყარამანიშვილი (22%), გიორგი ყარამანიშვილი (18%), გიორგი გეგეშიძე (9%) (გეგეშიძე 2014 წლის მარტის დასაწყისში გარდაიცვალა) და შპს ტელეკომპანია „საქართველო“ (51%). ტელეკომპანია „საქართველო“, რომელიც არ ფუნქციონირებს, ძმები ყარამანიშვილების ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენს: ლევან ყარამანიშვილი წილების 60%-ს ფლობს, ხოლო გიორგი ყარამანიშვილი - დანარჩენ 40%-ს.⁷

ლევან და გიორგი ყარამანიშვილები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ დაადგინა, რომ ლევან ყარამანიშვილი ოფშორული კომპანიების მფლობელობაში მყოფ რამდენიმე სხვა მსხვილ ბიზნესთან არის დაკავშირებული. ოფშორული მფლობელობა გულისხმობს, რომ კომპანიის ბენეფიციარ მესაკუთრეთა საკითხი დაფარულია.

- „ბილანი“ - ლევან ყარამანიშვილი, თავდაპირველად, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული ორი ფორმალური სუბიექტის: Miren Invest-ისა და Investico Alliance-ის იურიდიული წარმომადგენელი იყო. ეს ორი კომპანია საქართველოს სიდიდით მესამე მობილური სატელეფონო ოპერატორის „მობიტელის“ („ბილანი“) 49%-ს ფლობს.⁸ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, დღეს ლევან ყარამანიშვილი ამ ორი ფორმალური სუბიექტის 25%-ს Eleganza Group-ის საშუალებით ფლობს (კომპანია Eleganza Group-ის 75% თეიმურაზ არონიას მფლობელობაშია).⁹

აშშ-ს ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბაზრის კომისიაში წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში რუსულმა სატელეკომუნიკაციო კომპანია „ვიმპელკომმა“, რომელიც აქციებით საჯაროდ ვაჭრობს, საკუთარი წილი „ბილანი საქართველოში“ 51%-დან 80%-მდე გაზარდა - სავარაუდოდ, Investico Alliance-ის წილთა 29%-ის შეძენის გზით (გარიგება, სავარაუდოდ, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ კომპანიებს შორის მოხდა).¹⁰ არსებული ინფორმაციით, ყარამანიშვილის Eleganza Group-ის მფლობელობაში „ბილანის“ აქციების 20% რჩება.

⁷ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=601083&app_id=681968.

⁸ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=589859&app_id=669518.

⁹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ოქტომბერი, 2012

http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=113256.

¹⁰ აშშ-ს ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბაზრის კომისიის ონლაინ ბაზა www.secinfo.com, <http://www.secinfo.com/d14D5a.x3n4g.htm>.

- **GMC ჯგუფი** - Eleganza Group-ი, რომელშიც ყარამანიშვილი 25%-ს ფლობს, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული Holdex Intersales Corp-ის აქციონერადაც ფიქსირდება. ეს კომპანია, ამავე დროს, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული Newcom Association Limited-ის საშუალებით რესტორანთა ქსელ GMC ჰოლდინგს ფლობს. სხვა აქტივებთან ერთად, GMC ჰოლდინგის საკუთრებაშია ქალაქის მთავარი სარკინიგზო სადგურის მიმდებარედ განლაგებული სავაჭრო ცენტრი „თბილისი ცენტრალი“.¹¹
- **თბილისის მიკროავტობუსები** - GMC ჯგუფი თბილისის სამარშრუტო ხაზების ტენდერებთანაც არის დაკავშირებული. 2011 წელს აღნიშნულ ტენდერებში გამარჯვებულ ოთხ კომპანიას სხვადასხვა სამარშრუტო ხაზი გადაეცა ექსპლოატაციაში. ოთხივე კომპანია ერთსა და იმავე მისამართზე იყო დარეგისტრირებული - GMC ჯგუფის კუთვნილ რესტორნებში „ძველი სახლი“ და „ქალაქური“.¹² სამარშრუტო მიკროავტობუსების ოთხივე კომპანიის წარმომადგენელი ერთი და იგივე პიროვნება - GMC ჯგუფის იურისტი იყო.¹³
- **„კავკასუს ონლაინი“** – „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ დაადგინა, რომ ლევან ყარამანიშვილი დაკავშირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ ფორმალურ კომპანიასთან International Online Networks-თან, რომლის წარმომადგენელიც იგი 2012 წელს იყო - მაშინ ყარამანიშვილის სახელზე გაცემული იყო მინდობილობა ბენეფიციარი აქციონერებისაგან, რომელთა ვინაობაც დღემდე უცნობია.¹⁴ International Online Networks-ი საქართველოს სიდიდით მეორე

¹¹ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=608317&app_id=625000, ოფშორული კომპანიების ონლაინ ბაზა <http://offshoreleaks.icij.org/nodes/195543>, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კომპანიების მფლობელობის ონლაინ ბაზა <http://www.companyinfo.ge/en/people/537079/>; ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=121413.

¹² რესპუბლიკური პარტია, 24 თებერვალი, 2011,

http://republicans.ge/java%5Bertad%5Dscript/scrubite_editors/xinha/plugins/ExtendedFileManager/files/docUMENT/mediashare/6r/mediashare/ly/index.php?module=News&func=display&sid=2415&lang=ka#.U0PQXqiSySo

¹³ „სამარშრუტო ტაქსების მძღოლები გაიფიცნენ,“ სივილ ჯორჯია, 11 თებერვალი 2011,

<http://civil.ge/geo/article.php?id=23709>,

¹⁴ „კავკასუს ონლაინი“ ამჟამად სამი ოფშორული პირის კუთვნილებაა: Growth Master Holdings-ის (44%), Nelgado Limited-ისა (19.8%) და International Online Networks -ის (36.2%). Nelgado Limited-ი, რომელიც, არსებული მონაცემებით, International Online Networks-ის აქციათა 30%-საც ფლობს, რევაზ ელიავას (50%), ხვიჩა მაქაცარიასა (40%) და Lexus Group Limited-ს (10%) ეკუთვნის. როგორც ელიავა, ისე მაქაცარია ყარამანიშვილთან ერთად „მობიტელის“ („ბილაინი“) აქციონერი Delgado Resources-ის მეწილეები იყვნენ. ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=679431&app_id=698546

ფიქსირებული და IP-TV პროვაიდერის „კავკასუს ონლაინის“ ერთ-ერთი აქციონერია.¹⁵

ლევან ყარამანიშვილის ძმა გიორგი ყარამანიშვილი ფლობს ბათუმში დაფუძნებულ კომპანიას, შპს „გეოკორს“, რომელიც ბიზნეს ცნობარებში არ იძებნება.

ძმები ყარამანიშვილები ტელეკომპანია „მზის“ აქციებსაც ფლობდნენ, თუმცა ტელევიზია 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დათმეს „მზე“ ამჟამად არ ფუნქციონირებს.

გიორგი გეგეშიძე

გიორგი გეგეშიძე, რომელიც 2014 წლის მარტის დასაწყისში გარდაიცვალა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ირაკლი ჩიქოვანის (2009-2013) ბიზნეს პარტნიორი იყო.¹⁶ ისინი ფლობდნენ სამშენებლო კომპანიებს „ბედეგი“, „მენო ინტერნემენელ“ და „მაგი სტილი“. მათვე ეკუთვნოდათ სარეკლამო კომპანია „მაგი სტილი მედია.“¹⁷

გეგეშიძეს ეკუთვნოდა ტყავის მწარმოებელი კომპანია Philimaska.ge და სამშენებლო კომპანია „ქვაჩი“, რომელიც სამშენებლო პროექტს მცხეთაში ახორციელებდა. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირმა გეგეშიძეს რეკრეაციული მიზნებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაფორმებაში დასდო ბრალი.¹⁸ გეგეშიძის საკუთრებაში იყო ასევე ტელეკომპანია „ევრიკა“ და ტელეკომპანია „მზის“ აქციათა 10%.

2013 წლის ოქტომბერში „მენო ინტერნემენალის“ დირექტორსა და მესამე თანამფლობელს გიორგი კურცხალიას დაახლოებით 17 მილიონი ლარის ოდენობის სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა წაეყენა ბრალად.¹⁹ „მენო ინტერნემენალი“ წამყვანი კონტრაქტორი კომპანია იყო, რომელიც ქუთაისში პარლამენტის მშენებლობას ახორციელებდა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო

¹⁵ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=484855&ap_p_id=%20501649; International Online Networks-ს ამჟამად ვაჰან მღებრიანი წარმოადგენს, რომელიც, როგორც ჩანს, ნომინალური წარმომადგენელია. ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=648069&ap_p_id=665680.

¹⁶საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, 3 მარტი, 2014 <http://www.interpresnews.ge/ge/sazogadoeba/272394-qrusthavi-2q-is-erth-erth-damfudznebeli-gogi-gegeshidze-gardaicvala.html?ar=A>.

¹⁷ იმ პერიოდისათვის, როდესაც წინამდებარე ანგარიშს ვასრულებდით, მისი გარდაცვალების ფაქტი ჯერ არ იყო ასახული იმ კომპანიების საკუთრების ჩანაწერებში, რომელთაც იგი ფლობდა.

¹⁸ „ბრიფინგი მიწის ფართობების უკანონოდ მითვისებასთან დაკავშირებით“, გურიანიუსი, <http://www.gurianews.com/2013-08-23-05-57-34/8943-2013-03-22-11-30-35>

¹⁹ ტელეკომპანია „იმედი“, 4 ოქტომბერი, 2013 <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=14756>.

სამსახურის ცნობით, კურცხალია კონტრაქტებს აფორმებდა მის კუთვნილ სხვა სამშენებლო კომპანიებთან, რომლებიც მომსახურებას გაზრდილ ფასებში აწარმოებდნენ. ბრალდებასთან დაკავშირებით საჯარო განცხადება არც კურცხალიას და არც მის ადვოკატებს გაუკეთებიათ.²⁰

ტელეკომპანია იმედი

ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელია Georgian Media Production Group-ი, რომლის მესაკუთრეც „იმედის“ დამფუძნებლის, აწ გარდაცვლილი ოლიგარქის, ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი **ინა გუდავაძეა**. ოჯახს 2007 წლის ბოლოს წართმეული ტელეკომპანია „იმედი“ მას შემდეგ დაუბრუნდა, რაც მისმა მფლობელებმა, რომლებსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდათ მაშინ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მყოფ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღეში ტელეკომპანია პატარკაციშვილებს დაუბრუნეს.²¹

ტელეკომპანია „იმედთან“ ერთად Georgian Media Production Group-ს ასევე ეკუთვნის რადიო „იმედი“, ფილმების მწარმოებელი კომპანია Imedi Films-ი, ტელე არხი „აისი“ (არ ფუნქციონირებს) და ბადრი პატარკაციშვილის სახელობის მედია სკოლა, რომელიც 2013 წლის მაისში დაარსდა.²²

პატარკაციშვილების ოჯახს საქართველოში შემდეგი აქტივები ეკუთვნის:

- „ბორჯომი“: არსებული ინფორმაციით, პატარკაციშვილებმა 2013 წლის დასაწყისში „ბორჯომის“ („ბორჯომი“, „ლიკანი“, „ბორჯომის წყაროები“, „ბაკურიანი“) აქციათა უდიდესი წილი რუსულ კომპანია Alfa Group-ს მიჰყიდეს და ოჯახის საკუთრებაში აქციათა მცირე წილი რჩება. IDS Borjomi International-ის განცხადებით, მას საქართველოს გარდა კომპანიები აქვს რუსეთში, უკრაინასა და ბალტიის ქვეყნებში;²³

²⁰ „მენო ინტერნეიშენალის დამფუძნებელი პასუხისმგებლობაში მისცეს“, timer.ge, 10 ოქტომბერი, 2013, <http://timer.ge/13400-meno-interneishenali-s-damfudznebeli-pasukhisgebashi-miscs.html>.

²¹ 2014 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ პატარკაციშვილის ოჯახსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის 2011 წელს დადებული კონფიდენციალური შეთანხმება გამოქვეყნა, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ მთავრობის მიერ დე ფაქტო ჩამორთმეული აქტივების ოჯახისათვის დაბრუნებას შეეხებოდა, <http://bit.ly/GoG-Patr>. მთავრობის მიერ ტელეკომპანია „იმედის“ დაუფლების ისტორია იხ. გამოცემაში: Vanity Fair: The Widow and the Oligarchs (ქვრივი და ოლიგარქები), ოქტომბერი 2009, www.vanityfair.com/politics/features/2009/10/oligarchs200910.

²² ბადრი პატარკაციშვილის სახელობის ჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლა, <http://tvyschool.ge>, ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=536941&app_id=613971.

²³ კომპანია IDS Borjomi Georgia სასმელების მწარმოებელ ჰოლანდიურ კომპანია Antilles-ის მფლობელობაში არსებულ IDS Borjomi Beverages -ს ეკუთვნის, ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=615696&app_id=698078; „საქართველოს მინერალური წყალი „ბორჯომი“ შესაძლოა რუსეთს დაუბრუნდეს“, როიტერსი, 28 იანვარი, 2013, <http://www.reuters.com/article/2013/01/28/russia-borjomi-idUSL1N0AX0FN20130128>; IDS ბორჯომი, <http://www.ids-borjomi.ge/en/>;

- „მაგთიკომი“: ოჯახი ქვეყნის უმსხვილეს მობილურ ოპერატორ კომპანიაში წილების 46%-ს ფლობს (კომპანიის აქციათა 51% ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიძის გიორგი ჯოხთაბერიძის საკუთრებაა). „მაგთიკომი“ ასევე უდიდესი სატელიტური ოპერატორია, რომელსაც 105 000 მომხმარებელი ჰყავს (უდიდეს საკაბელო ოპერატორ „სილქნეტს“ 75 000 აბონენტი ჰყავს). ცოტა ხნის წინ ამ პლატფორმაზე მან საკუთარი ტელეარხი ჩამოაყალიბა;²⁴
- „რუსთავის ფოლადი“: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომლის საკუთრების საკითხზე ჯოზეფ ქეისთან სასამართლო დავა მიმდინარეობს;
- მთაწმინდის გასართობი პარკი (მას გუდავამე შპს „ლინქის“ მემფეობით ფლობს);²⁵
- ოჯახი ფლობს მიწის ნაკვეთებს თბილისსა და შავი ზღვის სანაპიროზე.²⁶

ლიანა პატარკაციშვილმა 2013 წლის მარტში Forbes Russia-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ოჯახმა კონტროლი დაიბრუნა მამამისის აქტივების დაახლოებით 90%-ზე და რომ საქართველოს გარდა პატარკაციშვილების ოჯახი ბიზნეს საქმიანობას ეწევა აშშ-ში, სერბეთში, მაროკოში, ესპანეთსა და კიდევ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში.²⁷

ჯოზეფ ქეი ბადრი პატარკაციშვილის შორეული ნათესავია, რომელმაც ოლიგარქის ქართულ აქტივებზე კონტროლის მოპოვება სადავო მინდობილობის საფუძველზე შეძლო. ²⁸ ქეი მთავარი მოწმეა ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილისა (საფრანგეთის სასამართლომ მის საქართველოში ექსტრადიციაზე უარი განაცხადა) და თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში. ყოფილ თანამდებობის პირებს ბრალი მითვისება-გაფლანგვასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში ედებათ. ბრალდების მტკიცებით, კეზერაშვილმა და უგულავამ შექმნეს ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდების სქემა, რომლის განხორციელების შედეგადაც ჯოზეფ ქეის 8 მილიონზე მეტი აშშ დოლარი გადაერიცხა.²⁹

2013 წლის სექტემბერში თანაინვესტირების ფონდმა (პირდაპირი ინვესტიციების ფონდი, რომელშიც ყოფილმა პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 1 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა) განაცხადა, რომ ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეები ფონდის თანადამფინანსებლებს შორის

²⁴ 2014 წლის იანვრის მონაცემები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

²⁵ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კომპანიების მფლობელობის ონლაინ ბაზა, <http://www.companyinfo.ge/en/people/487880/>.

²⁶ „ლიანა პატარკაციშვილი: „ბერეზოვსკისთან მხოლოდ იურისტების მემფეობით ვურთიერთობდით,“ ფორბსი რუსეთი, 28 მარტი, 2013 <http://www.forbes.ru/sobytiya/biznes/236384-liana-patarkatsishvili-nashe-obshchenie-s-borisom-berezovskim-proishodilo-tol>.

²⁷ იგივე

²⁸ „ქვირი და ოლიგარქები,“ Vanity Fair, ოქტომბერი 2009, <http://www.vanityfair.com/politics/features/2009/10/oligarchs200910>.

²⁹ „ინტერპოლის“ ბიუროში კეზერაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმე, <http://საპოლიც.გე/files/pdf/kezerashvili1.pdf>; „საფრანგეთის სასამართლომ კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადიციაზე უარი თქვა,“ სივილ ჯორჯია, 27 თებერვალი, 2014, <http://civil.ge/eng/article.php?id=26985>.

იქნებოდნენ. ფონდი უახლოეს წლებში საქართველოში 6 მილიარდამდე აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს. თუმცა, პატარკაციშვილების ოჯახს ფონდში თანამონაწილეობა ჯერჯერობით არ დაუდასტურებია.

GDS

გასართობი არხი GDS (შპს GDS TV), რომელიც მოზარდებზე და ახალგაზრდებზე გათვლილ პროგრამებს აწარმოებს, ყოფილი პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ვაჟს, რეპერ ბერა ივანიშვილს ეკუთვნის. ბიძინა ივანიშვილს პრემიერ მინისტრის პოსტი 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე ეკავა, თუმცა იგი კვლავაც ჩართულია პოლიტიკაში.³⁰ არსებული ინფორმაციით, ბერა ივანიშვილი დიდი ოდენობით მიწის ნაკვეთებს ფლობს საქართველოში, თუმცა ქვეყნის ფარგლებში მის სახელზე სხვა კომპანია არ ფიქსირდება.³¹ 2014 წლის თებერვალში, GDS-ის აუდიტორიის წილი კვირაში 1,9%-3% შეადგენდა. იგი ქართული ტელეკომპანიების რეიტინგში მე-6 ადგილს იკავებდა.³²

2013 წელს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ დახურვის შემდეგ, GDS ივანიშვილის ოჯახის საკუთრებაში არსებული ერთადერთი მსხვილი მედია აქტივია (ბიძინა ივანიშვილის ოჯახი, „მეცხრე არხის“ საშუალებით, ჯერ კიდევ (არაპირდაპირ) ფლობს გორის ტელეკომპანია „თრიალეთის“ აქციათა 10%-ს).³³

ყოფილი პრემიერ მინისტრის ნათესავი ალექსანდრე ივანიშვილი აქციათა უდიდესი პაკეტის მფლობელი იყო „გლობალ კონტაქტ კონსალტინგში“ (საკაბელო ოპერატორი „გლობალ TV“), რომელმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ათიათასობით სატელიტური თევზი დაურიგა მოსახლეობას. 2013 წლის ნოემბერში „გლობალ TV“-ის აქციების 99.9% კომპანია „აქტივი 2008“-ის მფლობელობაში გადავიდა, რომელიც მანამდე „გლობალ TV“-ის აქციათა 4%-ს ფლობდა.

ივანიშვილმა ცოტა ხნის წინ საკუთარი არაკომერციული ორგანიზაცია „მოქალაქე“ დააფუძნა, რომლის ერთ-ერთი მიზანიც საქართველოში მედიის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაა.³⁴

ბიძინა ივანიშვილმა ასევე დააფუძნა თანაინვესტირების ფონდი, პირდაპირი ინვესტიციების კერძო ფონდი, რომელიც თანხების ინვესტირებას აპირებს საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ტურიზმის,

³⁰ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=598376&app_id=678453.

³¹საჯარო სამსახურის ბიურო, ბიძინა ივანიშვილის დეკლარაცია <https://declaration.gov.ge/declaration?id=945007>.

³² „თი-ვი ემ-არ საქართველო“ ნილსენის ლიცენზირებული წარმომადგენელი საქართველოში, http://www.tvmr.ge/#len/tam_results/1:135:-/10|02|2013 - 16|02|2013.

³³ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=418558&app_id=487522.

³⁴ „ბიძინა ივანიშვილის "მოქალაქე" ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას და მედიამონიტორინგს დააფინანსებს,“ media.ge, 4 თებერვალი, 2014, <http://www.media.ge/en/portal/news/302183/>.

ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში. ივანიშვილმა ფონდში 1 მილიარდი აშშ დოლარის შენატანი განახორციელა. უახლოეს წლებში ფონდი 6 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციების შემოდინებას პროგნოზირებს.³⁵

ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული სხვა კომპანიების იდენტიფიცირება რთულია, რადგან ისინი ხშირად ოფშორში დარეგისტრირებული სუბიექტების საკუთრებას წარმოადგენენ, რომლებსაც ნომინალური დირექტორები ან ნათესავები მართავენ, მაგ., ყოფილი პრემიერ მინისტრის დისშვილი კახა კობიაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის მიწურულს თანამდებობის დატოვების შემდეგ წარდგენილ ქონებრივ დეკლარაციაში ბიძინა ივანიშვილმა ბერა ივანიშვილის აქტივებიც მიუთითა (ქონებრივი დეკლარაციები თანამდებობის პირის ოჯახში მცხოვრები თითოეული პირის ყველა აქტივსა და შემოსავალს უნდა ასახავდეს), მის ქონებრივ დეკლარაციაში არ ჩანს ბერას ძმის, უტას საკუთრებაში არსებული აქტივები. უტა ივანიშვილი საფრანგეთში ცხოვრობს და ამჟამად „ქართუ ჯგუფის“ (რომელშიც შედის ბანკი „ქართუ“, საბროკერო ფირმა შპს „ქართუ ბროკერი“, უძრავი ქონების კომპანია სს CMC და სადაზღვევო კომპანია შპს „ქართუ“) ოფიციალური მფლობელია.³⁶

არსებული ინფორმაციით, ივანიშვილების ოჯახი საქართველოში რიგ კომპანიებს ფლობს ოფშორული სუბიექტების საშუალებით, რომლებიც ივანიშვილის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული არ არის. მათ შორისაა:

- კომპანია Finsek-ი (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), რომელსაც საქართველოში შპს „კომპლექს სერვისი“ და შპს „ლიზინგი ოცდამეერთე“ ეკუთვნის;³⁷
- კომპანია Vanity Overseas (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), რომლის საკუთრებაცაა სამშენებლო კომპანია შპს „ბურჯი“ (ამ კომპანიის პროექტებს შორისაა ივანიშვილის რეზიდენცია მთაწმინდაზე და საცხოვრებელი კორპუსები თბილისის ბოტანიკურ ბაღში), ვერტმფრენების ოპერატორი კომპანია შპს „ავიასერვისის“ აქციათა 40% (ეს კომპანია ეწევა

³⁵ „ახალი 6 მილიარდიანი თანაინვესტირების ფონდი: გამჭვირვალობა წარმატების საწინდარი იქნება“,

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 26 ნოემბერი, 2013

<http://transparency.ge/blog/akhali-6-miliardiani-tanainvestirebis-pondi-gamchvirvaloba-tsarmatebis-satsindari-ikneba>

³⁶ საქართველოს ეროვნული ბანკი,

http://nbg.gov.ge/uploads/banks/cartu/2013_1q/cartu_3q_11_11.xlsx,

http://nbg.gov.ge/uploads/banks/cartu/2012/audited_2012cartueng.pdf.

³⁷ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=338275&app_id=388899,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=608495&app_id=689896.

ვერტოდრომის ექსპლოატაციას ივანიშვილის რეზიდენციაში) და შპს „აკვაცენტრი“;³⁸

- Krista Investments Limited (ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები), რომელიც ფლობს კომპანიას შპს „სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი აგრო ქართუ“;³⁹
- Ringold Finance Limited (ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები), რომლის საკუთრებაა სამშენებლო და სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანია შპს „ელიტა ბურჯი“ (კომპანიის პროექტებს შორის იყო თბილისის ფილარმონია და ბათუმის დელფინარიუმი), შ.პ.ს. „ჰორიზონტის“ აქციათა 75% (კომპანიის მფლობელობაშია თბილისში ივანიშვილის რეზიდენციასთან არსებული მიწის მცირე ფართობი), შპს „ნიუ სერვისი“ და აქციათა 17,73% სადაზღვევო კომპანიაში „ქართუ“;⁴⁰
- Limestone Finance International SA (პანამა), რომელიც ფლობს შპს „ინვესტ კაპიტალს“ და შპს „ნიუ კაპიტალის“ აქციათა 64%-ს (შპს „ქართულ ოცნებასთან“ ერთად);⁴¹
- Fresno Management Limited (ბელიზი), რომელიც ფლობს შპს „ინტერკონსალტინგს“, შპს „ინტერკონსალტინგ +“-სა და შპს „ქართუ მენეჯმენტს“, რომელმაც ცოტა ხნის წინ შეწყვიტა საქმიანობა;⁴²

³⁸ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=615561&app_id=697873, კომპანიის ვებ გვერდი: <http://burji.com.ge>; ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=494720&app_id=569519;

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=331634&app_id=381263; საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო: ცნობები სოლოლაკის

ვერტოდრომის საკუთრებისა და ექსპლოატაციის შესახებ,

<http://www.gcaa.ge/eng/vertodromisololaki.php>; საფრენი აპარატის რეგისტრაციის

მონაცემები, <http://www.gcaa.ge/eng/reestri.php>.

³⁹ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=610863&app_id=692324.

⁴⁰ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=632480&app_id=715601,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=494580&app_id=571759;

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=96418&app_id=107352;

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=617704&app_id=696977.

⁴¹ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=477313&app_id=553255,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=370383&app_id=427061.

⁴²ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=347417&app_id=400639;

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=460876&app_id=400639;

- Vasilias Enterprises (ბელიზი), რომლის საკუთრებაცაა შპს „ფინსერვისი“ და შპს „ფინსერვისი XXI“ (ამ უკანასკნელის საკუთრებაა ქონების უდიდესი ნაწილი იმ ტერიტორიაზე, სადაც ივანიშვილის რეზიდენცია მდებარეობს, ვერტოდრომის ჩათვლით)⁴³;
- Sargans Limited (იურისდიქცია უცნობია), რომელიც 2012 წელს დროებით ფლობდა აქციებს „ქართუ ჯგუფში“;
- Tarpan Management Limited (ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები), რომლის საკუთრებაა შპს „მენეჯმენტ სერვისი“⁴⁴;

„ქართუ ბანკის“ 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, რომელიც ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა, უტა ივანიშვილი სს „აგრო სერვისის“, სს „ინტერინვესტის“, Tarpan Management Limited-ის, Krista Investment Limited-ისა და Sargans Limited-ის ბენეფიციარი მესაკუთრეა.⁴⁵

„ქართუ ბანკის“ წლიურ ანგარიშში დამატებით არის მოყვანილი კომპანიები, რომლებიც 2012 წელს „ქართუ ბანკის“ პირდაპირი აქციონერები იყვნენ. ის გარემოება, რომ 2013 წელს უტა ივანიშვილი ოფიციალურად გახდა ბანკის ერთადერთი ბენეფიციარი მესაკუთრე (ეს ბანკი 2012 წლის დასაწყისამდე მამამისის, ბიძინა ივანიშვილის, საკუთრება იყო), მიუთითებს, რომ ივანიშვილის ოჯახი აკონტროლებს ასევე შემდეგ ფორმალურ კომპანიებს (მათი რეგისტრაციის იურისდიქცია უცნობია):⁴⁶

- Sanworth Holding Limited;
- Benefield Investments Limited;
- Charwood Finance Limited;
- Drawfield Investments Limited;
- Ropwind Investments Limited;
- Breckland Holdings Limited;
- Allerdale Investments Limited;
- Laveney Holdings Limited;
- Padbury Holdings Limited;
- Felwey Holdings Limited;
- Marsten Holdings Limited.

ტელეკომპანია „მაესტრო“

„მაესტრო“ ერთადერთი ტელეკომპანიაა საქართველოში, რომელიც საგამომიებო გადაცემებს ამზადებს. გადაცემას სტუდია „მონიტორი“ აწარმოებს და იგი ყოველ

[id=508235;](#)

[https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=627329&app_id=709227.](https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=627329&app_id=709227)

⁴³ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო: ცნობები სოლოლაკის ვერტოდრომის საკუთრებისა და ექსპლოატაციის შესახებ, <http://www.gcaa.ge/eng/vertodromisololaki.php>.

⁴⁴ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან

[https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=378748&app_id=435737.](https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=378748&app_id=435737)

⁴⁵ საქართველოს ეროვნული ბანკი,

http://nbg.gov.ge/uploads/banks/cartu/2012/audited_2012cartueng.pdf, გვ. 9.

⁴⁶ იქვე, http://nbg.gov.ge/uploads/banks/cartu/2013_1q/cartu_3q_11_11.xlsx.

კვირა სადამოს გადის ეთერში. 2014 წლის თებერვალში არხის აუდიტორიის საერთო წილმა დაახლოებით 14% შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ „მაესტრომ“ მესამე ადგილი დაიკავა „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ შემდეგ.⁴⁷ მისი ორი დიდი კონკურენტისაგან განსხვავებით, „მაესტროს“ არ აქვს საერთო საეთერო მაუწყებლობის ლიცენზია. ამჟამად ტელეკომპანია სამაუწყებლოდ „ევრიკას“ (იხ. ქვემოთ) სიხშირეს იყენებს.

მაესტროს რამდენიმე აქციონერი ჰყავს:

- **მაკა ასათიანი** („მაესტროს“ 25%-ის მფლობელი), რომელიც ასევე ფლობს აქციებს „მერსედესის“ სადილერო კომპანია შპს „აკაში“ (22%), შპს „ნოღელაში“ (50%), შპს „ორში“ (50%) და შპს „TRADE STONE IBERIA-ში“ (10%)⁴⁸;
- **გიორგი გაჩეჩილაძე** (25%), რომელიც „ქართული ანიმაციური სტუდიების“ აქციატა 30%-ს ფლობს⁴⁹;
- **გიორგი ებრალიძე** (15%), რომელიც აქციატა 65%-ს ფლობს შპს „რე-ანიმატორში“ და 25% -ს შპს „ვიზარდ ედვერთაიზინგში“⁵⁰;
- **მამუკა ღლონტი** (15%), რომელიც იმავდროულად „ქართული რადიოს“ („რადიო მაესტრო“) დირექტორიცაა. მას ეკუთვნის 100%-იანი წილი შპს „ტვ-სახელოსნო მაესტროში“ და ფლობს შპს „ელექტრონული ტექნოლოგიების“ 1 %-ს⁵¹;
- **ლევან ჩიკვაძე** (15%) და **ეკატერინე აკობია** (5%), რომელთა სახელზეც სხვა კომპანია რეგისტრირებული არ არის.

ტელეკომპანია „კავკასია“

თბილისში რეგისტრირებული ტელეკომპანია „კავკასია“ **ნინო ჯანგირაშვილის** საკუთრებაა, რომელიც კომპანიის დირექტორიც გახლავთ. ჯანგირაშვილი ასევე ფლობს ქალაქის ცენტრში მდებარე არტ კაფე „ბეთ ჰაიმსა“ და შპს „მედიუმ ჯგუფს“. მას ეკუთვნის შპს „გრაკოს“ აქციატა უმეტესობაც (51%).⁵²

⁴⁷ „თი-ვი ემ-არ საქართველო“, ნილსენის ლიცენზირებული წარმომადგენელი საქართველოში, http://www.tvmr.ge/#!en/tam_results/1:136:-/17|02|2014 - 23|02|2014.

⁴⁸ შპს „სტუდია მაესტრო“, საიდენტიფიკაციო კოდი: 236080557; შპს „აკა“, საიდენტიფიკაციო კოდი: 204875082; შპს „ორი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 211386374; შპს „TRADE STONE IBERIA“, საიდენტიფიკაციო კოდი: 406081485;

⁴⁹ შპს „ქართული ანიმაციური სტუდიები“, საიდენტიფიკაციო კოდი: 202240119.

⁵⁰ შპს „რე-ანიმატორი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404916542; შპს „ვიზარდ ედვერთაიზინგი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 405004472.

⁵¹ შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“, საიდენტიფიკაციო კოდი: 405002900; შპს „ქართული რადიო“, საიდენტიფიკაციო კოდი: 200221991; შპს „ელექტრონული ტექნოლოგიები“, საიდენტიფიკაციო კოდი: 202051215.

⁵² შპს „ტელეკომპანია კავკასია“, საიდენტიფიკაციო კოდი: 203842823; შპს „ბეთ ჰაიმი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404985334, <https://www.facebook.com/bethaim>; შპს „გრაკო“, საიდენტიფიკაციო კოდი: 406098422; შპს „მედიუმ ჯგუფი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404894218.

„მზე“, „პირველი სტერეო“, „პირველი რადიო“ და „02“

ვასილ კობაიძე და ზვიად ამირიძე (ორივე მათგანი საქართველოს პარლამენტის წევრის დავით ბეჟუაშვილის ოჯახის კუთვნილ კომპანიებს ხელმძღვანელობს), „მზისა“ და „პირველი სტერეო“ აქციონერები არიან. ამჟამად არც ერთი ეს მედიასაშუალება არ ასრულებს რაიმე მნიშვნელოვან როლს საქართველოს მედია ბაზარზე. „მზემ“ თავისი კუთვნილი საერთო საეთერო მაუწყებლობის ლიცენზია ბერა ივანიშვილის GDS-ს გადასცა,⁵³ „პირველი სტერეო“ კი უკვე რამდენიმე წელია საკუთარი პროგრამით არ მაუწყებლობს და მის სიხშირესაც GDS იყენებს.

„პირველი სტერეო“ 65%-იანი წილის მფლობელი ვასილ კობაიძე აქციებს ფლობს „ტექნონეტში“. ეს კომპანია ადრე „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისა“ (GIG) და მისი ოფშორული მფლობელის Chemexim International-ის საკუთრებას წარმოადგენდა. მარშალის კუნძულებზე დარეგისტრირებული აღნიშნული კომპანია რობერტ ბეჟუაშვილს ეკუთვნის (რობერტ ბეჟუაშვილი დავით ბეჟუაშვილისა და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრისა და საქართველოს დაზვერვის სამსახურის ყოფილი უფროსის გელა ბეჟუაშვილის მამაა. გელა ბეჟუაშვილმა დაზვერვის სამსახურის უფროსის თანამდებობა 2013 წლის ბოლოს დატოვა).

Chemexim International-ისა და ვასილ კობაიძის საკუთრებაშია თბილისის ცენტრში მდებარე „ჭრელი აბანო“. 2007 წელს სახალხო დამცველის ერთ-ერთ პუბლიკაციაში აღწერილია აბანოს ყოფილი მფლობელების ბრალდებები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ იძულებით დაათმობინეს „ჭრელი აბანო“ და კიდევ ერთი კომპანია.⁵⁴

„ჭრელი აბანოს“ კიდევ ერთი აქციონერია თეიმურაზ მამაცაშვილი, რომელსაც PSP-ის აქციათა 11% ეკუთვნის.⁵⁵ კობაიძისა და მამაცაშვილის ერთობლივი საკუთრებაა შპს „ზედაზენი 2012“ - ლუდსახარში „ზედაზენის“ წარმომადგენლობა თბილისში („ქართული ლუდის კომპანია“ ბეჟუაშვილების "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისა" ⁵⁶ და მცხეთა მთიანეთის რეგიონის ყოფილი რწმუნებულის ცეზარ ჩოჩელის ნათესავების⁵⁷ საკუთრებაა⁵⁸).

როდესაც 2012 წელს ძმებმა ყარამანიშვილებმა ტელეკომპანია „მზეში“ საკუთარი წილები გაყიდეს, Chemexim International-ის წარმომადგენელმა, იურისტმა ზვიად

⁵³საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=114659.

⁵⁴ საქართველოს სახალხო დამცველი, 21 ნოემბერი 2007, <http://www.ombudsman.ge/ge/page/939-gogirdis-da-chreli-abanos-mflobelta-saqmis-taobaze>

⁵⁵ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კომპანიების მფლობელობის ონლაინ ბაზა, <http://www.companyinfo.ge/ka/people/432632/>

⁵⁶ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=403199&app_id=409101

⁵⁷ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=636917&app_id=720505

⁵⁸ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=613941&app_id=696002

ამირიძემ, კომპანიის აქციათა 90% შეიძინა. ამირიძეს დირექტორის თანამდებობა უკავია „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ მფლობელობაში არსებულ რამდენიმე კომპანიაში და კობაიძის კომპანიაში - „ტექნონეტში“⁵⁹.

ვასილ კობაიძე ასევე ფლობს „პირველ რადიოს“, რომლის დირექტორიც ზვიად ამირიძე გახლავთ. ბეჟუაშვილის ოჯახი წლების განმავლობაში ფლობდა აქციებს „რუსთავი 2“-ში, „პირველ სტერეოსა“ და „მზეში“. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა საქართველოში, რომელიც ენერჯეტიკის, სამშენებლო, მანქანებისა და სასმელების კომპანიებს აერთიანებს. მის მფლობელობაშია ასევე „ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯიას“ აქციათა 20% და ნახშირის მაღარო ტყიბულში.⁶⁰

„პირველი სტერეო“ აქციათა 22% დავით ზილფიმიანს ეკუთვნის, რომელიც წილებს ფლობდა ასევე სამაუწყებლო მომსახურების მიმწოდებელ „სტერეო +“-ში. მან ეს კომპანია 2014 წლის იანვარში დატოვა.⁶¹

- ზილფიმიანი სს „ტელევიზიის“ გამგეობის წევრიცაა. ეს კომპანია მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჯგუფმა ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ აღჭურვილობის შეძენის მიზნით ჩამოაყალიბა. მის წევრებს შორის არიან: ია ანთაძე („სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ თავმჯდომარე), ვასილ მაღლაფერიძე (ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ყოფილი წამყვანი) და ცოტნე გამსახურდია (საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილი). ბიძინა ივანიშვილმა თავდაპირველად მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას⁶², თუმცა „მეცხრე არხის“ აქტივების სს „ტელევიზიასათვის“ გადაცემა დღემდე არ მომხდარა.

ტელეკომპანია „მზის“ დირექტორის, ზაზა თანანაშვილის, თანასაკუთრებაში მყოფ კომპანიას „GS Group“-ს საკაბელო და სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია მიენიჭა გასართობი ტელეარხის ასამოქმედებლად. არხს „O2“ ჰქვია და მაუწყებლობის დაწყებას 2014 წლის გაზაფხულზე გეგმავს. კომპანიის თანამფლობელი საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი რუსულენოვანი საინფორმაციო არხის PIK-ის ყოფილი თანამშრომელი ანდრო ფეიქრიშვილია.

⁵⁹ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=614215&app_id=696182

⁶⁰ საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, <http://www.gig.ge/en/>.

⁶¹ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=617840&app_id=700303;

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=624518&app_id=706879.

⁶² „ბიძინა ივანიშვილი მზადაა თავადაც გახდეს საზოგადოებრივი ტელევიზიის ერთ-ერთი აქციონერი,“ ბიზნესპრესნიუსი, 27 აგვისტო, 2013, <http://www.bpn.ge/biznesi/862-bidzina-ivanishvili-mzadaa-thavadac-gakhdes-sazogadoebrivi-televiziis-erth-erthi-aqcioneri.html?lang=ka-GE>

„გლობალ მედია ჯგუფი“ – GMG

„გლობალ მედია ჯგუფი“ (GMG) საკაბელო მაუწყებელია, რომელიც ექვს არხს აერთიანებს. GMG-ის არხები ფილმებსა და სპორტულ ღონისძიებებს გადასცემს. სპორტული ღონისძიებების გადაცემაზე მას ექსკლუზიური უფლებები აქვს მინიჭებული.⁶³ GMG **თამარ გამყრელიძესა** (85%) და **ლევან ყუბანიშვილის** შპს „ნიუ მედია გრუპს“ (15%) ეკუთვნის. ლევან ყუბანიშვილი ამავე დროს GMG-ის დირექტორია.⁶⁴

თამარ გამყრელიძე მამუკა გამყრელიძის შვილია. მამუკა გამყრელიძე 2011-2013 წლებში ჩინეთში საქართველოს ელჩი იყო. 2011 წლამდე ის GMG-ის აქციებს ფლობდა, ხოლო 2011 წელს თავისი აქციები ქალიშვილს გადასცა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის 2013 წლის ანგარიშში გადმოცემულია ოზურგეთის საკაბელო ოპერატორის შპს „მადის“ დირექტორის ჩვენება, რომელიც ამბობს, რომ მას ზეწოლის შედეგად აიძულეს, უარი ეთქვა მაუწყებლობის ლიცენზიაზე მამუკა გამყრელიძის სასარგებლოდ.⁶⁵

ლევან ყუბანიშვილი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი იყო, ხოლო შემდეგ, 2004 წელს, ტელეკომპანია „მზის“ დირექტორად დაინიშნა. 2008 წელს იგი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გახდა.⁶⁶ მას ეკუთვნის სარეკლამო კომპანიები „ბრენდჰაუზი“ და „ვიზარდ სტუდიო“.

ყუბანიშვილი ასევე ფლობს შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფს“, რომელსაც კონტენტთან დაკავშირებით უცხოურ კომპანიებთან საავტორო ხელშეკრულებების უმეტესობა აქვს გაფორმებული. კომპანიამ ეს უფლებები, მათ შორის რიგი ექსკლუზიური სპორტული ღონისძიებების გადაცემის უფლება, მოგვიანებით GMG-ის გადასცა.⁶⁷ 2010 წელს კომპანია JI-EI-TV-ს შეუერთდა, რომელიც ადრე „რუსთავი 2“-ის მფლობელი, აწ გარდაცვლილ გიორგი გეგეშიძესა და ზაზა შენგელიას (სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი დირექტორი; ამ თანამდებობიდან იგი 2003 წლის ვარდების რევოლუციამდე რამდენიმე დღით ადრე გადადგა) ეკუთვნოდა.⁶⁸

⁶³ კომპანიის ვებ გვერდი: <http://www.gmg-tv.com/>.

⁶⁴ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=363864&app_id=419879,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=301159&app_id=346547.

⁶⁵ „GMG-ის საქმეს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისია იხილავს,“ ნეტგაზეთი, 23 სექტემბერი, 2013, <http://netgazeti.ge/GE/105/News/23755/>

⁶⁶ „საზოგადოებრივ მაუწყებელს ახალი დირექტორის ჰყავს“, სივილ ჯორჯია, 4 აპრილი, 2008, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=17523>.

⁶⁷ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კომპანიების მფლობელობის ონლაინ ბაზა, <http://www.companyinfo.ge/en/people/389466/>.

⁶⁸ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=329779&app_id=379004;

2008 წლამდე ყუბანეიშვილი და შენგელია, ირაკლი ჩიქოვანთან ერთად (ის 2009-2013 წლებში კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ხელმძღვანელობდა), ფლობდნენ კომპანიას „ქართული გამომცემლობის სახლი +“. ⁶⁹ ირაკლი ჩიქოვანს GMG-ის სხვა მათუწყებლებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებაში ადანაშაულებდნენ. ⁷⁰ GMG იმავე მისამართზეა დარეგისტრირებული, რომელზეც კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

ტელეკომპანია „ტაბულა“

ტელეკომპანია ტაბულა ოპერირებს არაკომერციული იურიდიული პირის სამოქალაქო განათლების ფონდის ⁷¹ კუთვნილ სამათუწყებლო სიხშირეზე. სამოქალაქო განათლების ფონდი ასევე ფლობს 5%-ს შპს ყოველკვირეულ საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალში ტაბულა.

შპს ყოველკვირეული საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალი ტაბულას წილების უმეტესობა UCG Green Power-ს ეკუთვნის (51%). ⁷² მისი დირექტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელია თამარ ჩერგოლეიშვილი (14%). კომპანიის მფლობელებს შორის არიან კახა ბენდუქიძე (10%), ოთარ კახიძე (10%), ლევან რამიშვილი (10%) და „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (5%). ⁷³

UCG Green Power-ი ქართული კომპანიაა, რომელსაც ოფშორში (პანამა) რეგისტრირებული Rylf Management SA ფლობს. ამ უკანასკნელის მფლობელების დადგენა არ ხერხდება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიაკვლია, რომ 2011-2012 წლებში Rylf Management-ის ბენეფიციარი მესაკუთრე, სავარაუდოდ, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დათო კეზერაშვილი იყო. ⁷⁴ თამარ ჩერგოლეიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ Rylf Management-ს ქართველი ბიზნესმენები ფლობენ, რომელთა ვინაობის გამჟღავნება მან არ ისურვა. ჩერგოლეიშვილის თქმით, დათო კეზერაშვილს „ტაბულასთან“ კავშირი არ აქვს. ⁷⁵

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=45602&app_id=54078; „ზაზა შენგელია თანამდებობიდან გადადგა“, სივილ ჯორჯია, 20 ნოემბერი, 2003, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=5565>.

⁶⁹ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=132740

⁷⁰ „არაფერში დამნაშავე არ ვარ“ - ირაკლი ჩიქოვანი,“ media.ge, 6 ნოემბერი, 2012,

<http://www.media.ge/ge/portal/articles/50970/>

⁷¹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია,

<http://www.gncc.ge/declarations/samokalako%20ganatleba.PDF>

⁷² ანგარიშის თავდაპირველ ვერსიაში არ იყო დაზუსტებული, რომ საუბარია ჟურნალი ტაბულას მფლობელებზე. ანგარიშში ცვლილება შევიდა 2014 წლის 22 აპრილს შპს „იუ-სი-ჯი ფაურის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

⁷³ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=614834&app_id=689615.

⁷⁴ „ვის ეკუთვნის საქართველო: დავით იაკობაშვილი - კეზერაშვილის კომპანიების ახალი მესაკუთრე,“ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 10 სექტემბერი, 2013,

<http://transparency.ge/blog/vis-ekutvnis-sakartvelo-davit-iakobashvili-kezerashvilis-kompaniebis-akhali-mesakutre>

⁷⁵ იგივე

Rylf Management-ის მფლობელობაშია ასევე ქართული კომპანიები: Rylf Georgia, UCG Agro, სატრანსპორტო კომპანია შპს „გრანდ ექსპრესი“, შპს „პრემი“ და შპს Inter Trading Company.

ოთარ კახიძე „ტაბულას“ აქციათა 10%-იანი წილის მფლობელი 2013 წლის ნოემბერში გახდა. მან ლადო გურგენიძე ჩაანაცვლა. გურგენიძე ყოფილი პრემიერ მინისტრია, რომელიც ამჟამად „ლიბერტი ბანკის“ აქციათა 8%-ის მფლობელი და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.⁷⁶ ოთარ კახიძე იურიდიული ფირმა BGI-ის დირექტორია. 2012 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა, მანამდე კი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.⁷⁷

კახა ბენდუქიძის აქტივების უმეტესობა - იგი წლების მანძილზე რუსეთში ეწეოდა ბიზნეს საქმიანობას - საქართველოს ფარგლებს გარეთაა. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას ბენდუქიძემ რიგი რადიკალური რეფორმები განახორციელა, ბიუროკრატიული პროცედურები შეამცირა და ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია წამოიწყო. ბენდუქიძე მუშაობდა სახელმწიფო მინისტრად რეფორმების საკითხში და მთავრობის კანცელარიის უფროსიც იყო.

ბენდუქიძე Linnaeus Capital Partners-ის აქციათა უდიდესი პაკეტის მფლობელია (რომელსაც შპს I.I.H.C Industrial Investments-ის მეშვეობით მართავს). Linnaeus Capital Partners-ის განცხადებით, მას 240 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციები აქვს განხორციელებული უძრავი ქონებისა და აკვაკულტურის კომპანიებში საბერძნეთში, ისრაელში, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.⁷⁸

საქართველოში ბენდუქიძემ არაკომერციული ორგანიზაცია „ცოდნის ფონდი“ დააარსა, რომელიც „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა“ და „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კამპუსის“ მფლობელია. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში არსებულ ბენდუქიძის სხვა აქტივებს მისი და, ნინო ბენდუქიძე მართავს, რომელიც „ბაგები სითი ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. „ბაგები სითი ჯგუფის“ საკუთრებაშია „პარკ თაუნი“ (უძრავი ქონება), „გეო ფიტნესი“ (საცურაო აუზი და სატრენაჟორო დარბაზი ვაკეში) და სასაწყობო ტერმინალი „ლილო 1“. ჯგუფის პორტფოლიოში შედის რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი ვაკის რაიონში, „კვარიათის სასტუმრო და იახტ-კლუბი“ და „ბათუმი პლაზა.“ 2012 წლის ბოლომდე „ბაგები სითი ჯგუფის“ აქციათა 50 პროცენტზე ნინო ბენდუქიძეს ეკუთვნოდა. კომპანიის 33,49% ამჟამად კვიპროსში რეგისტრირებული კომპანიის Monsamin Investments Limited-ის საკუთრებაა, რომლის მფლობელთა სახელებიც ქართულ საჯარო დოკუმენტებში

⁷⁶ საქართველოს ეროვნული ბანკი,

http://nbg.gov.ge/uploads/banks/liberty/2013/liberty_3q_11_11.xlsx

⁷⁷BGI Legal, <http://www.bgi.ge/?45/>.

⁷⁸Linnaeus Capital Partners, <http://linnaeuscp.com/portfolio/index.html>,

<http://www.diassa.gr/uploads/CorporateAnnouncements/18062013Announcements/significantchangesTETHYSEFGv.pdf>.

არ ფიქსირდება. ნინო ბენდუქიძე „ბაგები სითი ჯგუფის“ უმსხვილესი აქციონერის სს „პარკ-პლეისის“ (59.73%) საბჭოს თავმჯდომარეა.

ბენდუქიძის მთავარ აქტივებს რუსეთში წარმოადგენდა: მძიმე ტექნიკის მსხვილი საწარმო OMZ და ბირთვული ენერჯის კომპანია AtomStroyExport. 2005 წელს მან ორივე კომპანია გაყიდა.⁷⁹

ლევან რამიშვილი „ტაბულაში“ საერთაშორისო ამბების განყოფილებას ხელმძღვანელობს. იგი „თავისუფლების ინსტიტუტის“ თავმჯდომარე და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა“ და „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ასისტენტ პროფესორია. ლევან რამიშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საბჭოს წევრიც იყო.

TV3

TV3-მა მაუწყებლობა 2013 წლის ზაფხულში დაიწყო. ტელეკომპანია ახალ ამბებსა და მიმდინარე მოვლენებს გადმოსცემს და აქცენტს ბიზნესის სიახლეებზე აკეთებს. მისი ამჟამინდელი აქციონერები არიან:

- **დავით მჭავია** (90%), რომელიც ასევე ფლობს კომპანიებს „პარტნიორი“, „გლობალავტოსპეცტექნიკა“ და „კომპიკსი“;⁸⁰
- **ლალი ეგაძე** (10%), რომელსაც ეკუთვნის საიუველირო მაღაზია შპს Kamoss და გორში დაფუძნებული კომპანია შპს „ლალის“ აქციათა 50%.⁸¹

2014 წლის თებერვალში TV3-ის ორმა აქციონერმა - ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელმა კახა ბაინდურაშვილმა და მისმა მოადგილემ ლაშა ჩხენკელმა - TV3-ში საკუთარი წილები დათმო. ⁸² საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ

⁷⁹ „კახა ბენდუქიძემ გაყიდა "Объединенные машиностроительные заводы", regnum.ru, <http://www.regnum.ru/news/538618.html>, „რა უნდა ახალ მფლობელს?“, ფორბსი რუსეთი, 3 იანვარი, 2008, <http://www.forbes.ru/forbes/issue/2008-01/12292-что-novomu-hozyainu-nado>. საქართველოს მთავრობაში მოსვლის შემდეგ 2004 წელს წარდგენილი მისი ყველაზე ადრეული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ბენდუქიძე ფლობდა აქციებს რამდენიმე რუსულ კომპანიაში, რომლებიც შემდგომ გაყიდა: Афанасиевский 7 (აფანასიევსკი 7), Основные Инвестиции (მთავარი ინვესტიციები), Центр Инфраструктурных Инвестиции (ინფრასტრუქტურის ინვესტიციათა ცენტრი), Москва Ре (მოსკოვი რე) და Управление Промышленными Продуктами (სამრეწველო პროექტთა მართვა). მისი უკანასკნელი პერიოდის ქონებრივი დეკლარაციები ოფიციალურ ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის.

⁸⁰ შპს TV3, საიდენტიფიკაციო კოდი: 205281121; შპს „პარტნიორი, საიდენტიფიკაციო კოდი: 404944708; „გლობალავტოსპეცტექნიკა“, საიდენტიფიკაციო კოდი: 205258825; „კომპიკსი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 202451195.

⁸¹ შპს Kamoss, საიდენტიფიკაციო კოდი: 205291931; შპს „ლალი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 417873581.

⁸² „ყოფილი ფინანსთა მინისტრი სავაჭრო პალატას უხელმძღვანელებს“, სივილ ჯორჯია, 20 ივლისი, 2011, <http://civil.ge/geo/article.php?id=24361>, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=633787&app_id=717179.

ბაინდურაშვილს, რომელიც ჩხენკელთან ერთად რადიო ლიცენზიის (რადიო „ზენიტი“) თანამფლობელიც იყო, როგორც თანამდებობის პირს, ინტერესთა კონფლიქტი დაუდგინა. თანამდებობის პირს სამაუწყებლო ლიცენზიის ქონა ეკრძალება.⁸³

TV3-ის საკუთრებაში განხორციელებულ ცვლილებებამდე ცოტა ხნით ადრე მისი დირექტორი გრიგორ ბაიბურთი გახდა. 2011-2012 წლებში ბაიბურთს ფინანსთა სამინისტროში ბაინდურაშვილის მოადგილის თანამდებობა ეკავა. იგი პარლამენტის ყოფილი წევრისა და პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველის ვან ბაიბურთის შვილია.⁸⁴ გრიგორ ბაიბურთი შპს CSA-ის წილთა 50%-ს ფლობს.⁸⁵

TV3-ს მაუწყებლობის ლიცენზია „რეალ TV“-გან გადაეცა, რომელიც 2010-2012 წლებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი პროპაგანდისტული არხი იყო.⁸⁶ აქციონერებმა არხის აქციათა 90% 200 000 ლარად შეისყიდეს ლალი ეგაძისაგან, რომელმაც ის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 30 000 ლარად იყიდა.⁸⁷

„ობიექტივი“

„ობიექტივის“ სამაუწყებლო ლიცენზიას არაკომერციული პირი „მედიაკავშირი ობიექტივი“ ფლობს, რომელსაც ირმა ინაშვილი, რეგან თელოიანი, მამუკა გობეჩია და ირაკლი ცილიკიშვილი წარმოადგენენ.⁸⁸

გავრცელებული ინფორმაციით, არხის ექსპლოატაციას კომერციული იურიდიული პირი შპს მედია სახლი „ობიექტივი“ ახორციელებს, რომლის მესაკუთრეები არიან: **ირმა ინაშვილი** (28,5%), **დიმიტრი ვოლკოვიჩი** (14.25%), **ზურაბ გოგიშვილი** (14.25%), **ირაკლი ცილიკიშვილი** (14.25%), **ბონდო მძინარაშვილი** (14.25%) და **თეა ნადირაძე** (14.25%), ეს უკანასკნელი ერთადერთია ჩამოთვლილთა შორის, ვინც კიდევ ერთ ქართულ კომპანიაში, შპს Vakko-ში, ფლობს აქციებს.⁸⁹

⁸³ „GNCC-მ კახა ბაინდურაშვილის ინტერესთა კონფლიქტი დაადგინა“, media.ge, 7 დეკემბერი, 2013, <http://www.media.ge/ge/portal/news/301859/>

⁸⁴საჯარო სამსახურის ბიურო, <https://declaration.gov.ge/declaration/7469>,
<https://declaration.gov.ge/declaration/45640>.

⁸⁵ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,
https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=475962&app_id=551565.

⁸⁶ იხ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მედია მონიტორინგის შედეგები საქართველოში, Meiamonitor.ge,
<http://mediamonitor.ge/files/Media%20Monitoring%20Results%20of%20the%202012%20Parliamentary%20Elections%20in%20Georgia.pdf>, გვ.17, 18.

⁸⁷ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,
https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=601027&app_id=617775; „ინგა გრიგოლია TV 3-ზე პოლიტიკურ ტოკ შოუს წაიყვანს“, Media.ge, 12 აგვისტო, 2013, <http://www.media.ge/ge/portal/news/301175/>

⁸⁸ არასამეწარმეო მედია კავშირი „ობიექტივი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404385465.

⁸⁹ შპს „მედია სახლი ობიექტივი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 204436173; შპს Vakko, საიდენტიფიკაციო კოდი: 404949008.

„ევრიკა“

თბილისში დაფუძნებული ტელეკომპანია „ევრიკა“ უკვე რამდენიმე წელია, არ ფუნქციონირებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ინარჩუნებს საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიას. ბოლო წლებში მან საკუთარი სიხშირით სარგებლობის უფლება გადასცა „ერთსულოვნებას“, სატელევიზიო სადგურს, რომელსაც სრულად ფლობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ამჟამად ამ სიხშირეზე „მაესტრო“ მაუწყებლობს.

„ევრიკის“ აქციათა სრული მფლობელია **ილია ინჯია**, პრეზიდენტ შევარდნაძის დროინდელი კომუნიკაციების მინისტრისა და პარლამენტის წევრის (ლეიბორისტული პარტიიდან) ფრიდონ ინჯიას შვილი. ილია ინჯია აქციებს ფლობს რიგ კომპანიებში რომელთა უმეტესობაც სატელეკომუნიკაციო ოპერატორია: შპს „ქართული სატელეფონო კომპანია“ GTC (25%), „სისტემ ნეტი“ (21.6%), „იუნიონ გრუპი“ (33%), „ჯითიკომი“ (25%), „ნიუ პროჯექტ გრუპი“ (33.4%) და „სანაპირო“ (40.1%).⁹⁰ 2007 წლამდე ის ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანია „ჯეოსელის“ აქციონერი იყო.

ფრიდონ ინჯიას, მისი ოჯახის წევრებისა და ბიზნეს პარტნიორების საკუთრებაში არსებულ კომპანიებს განეკუთვნება „ახალი ქსელები“, „გლობალ ერთი“ და მარტვილის საფეხბურთო კლუბი „მერანი“.⁹¹

გასულ წლებში „ევრიკის“ მფლობელები იყვნენ „რუსთავი 2“-ის აქციონერი აწ გარდაცვლილი გიორგი გეგეშიძე და მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელის ძმა იაგო ჩოჩელი.⁹²

ტელეკომპანია „იბერია“

ტელეკომპანია „იბერია“ ბიზნესმენ **ზაზა ოქუაშვილის** (70%) (საქართველოს პარლამენტის წევრი 1999 წლიდან 2004 წლამდე) და მისი მეუღლის **ნატო ჩხეიძის** (30%) საკუთრებაა. ორივე მათგანი საკუთარ წილებს შპს Benmont-ის საშუალებით მართავს. ეს უკანასკნელი 2013 წლის სექტემბერში დაფუძნდა.⁹³

⁹⁰ ტელერადიოკომპანია „ევრიკა“, საიდენტიფიკაციო კოდი: 203844723; ქართული სატელეფონო კომპანია GTS, საიდენტიფიკაციო კოდი: 211370050; „სისტემ ნეტი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 205267423; შპს „იუნიონ გრუპი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404438104; „ჯითიკომი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 205213990; „ნიუ პროჯექტ გრუპი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 202889712; „სანაპირო“, საიდენტიფიკაციო კოდი: 202184527.

⁹¹ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (2013): ინტერნეტის თავისუფლება - ვინ აკონტროლებს საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორს? გვერდები 28, 29, <http://transparency.ge/en/post/report/state-of-internet-2012>; „მერანი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 406090091.

⁹² ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=465932&app_id=541171; https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=18762&app_id=26427.

⁹³ საჯარო სამსახურის ბიურო, <https://declaration.gov.ge/declarations/saqartvelos%20parlamenti/Oquashvili%20Zaza%202004.pdf>; საქართველოს პარლამენტი,

„იბერია“ უკანასკნელ წლებში არ ფუნქციონირებდა და მას ორი ოფშორული კომპანია ფლობდა. ეს კომპანიებია: Orimaunt Global Properties Inc (BVI) და Mooven International SA (BVI).⁹⁴

ოქუაშვილს არა ერთხელ განუცხადებია საჯაროდ, რომ ის „ომეგა ჯგუფის“ მფლობელია, მაგრამ, ოფიციალურად, კომპანიის საკუთრება ვერ დგინდება, რადგან ჰოლდინგს ოფშორული მფლობელები ჰყავს. ⁹⁵ „ომეგას“ ვებსაიტის მიხედვით, ჯგუფი შემდეგ კომპანიებს მოიცავს: სიგარეტის მწარმოებელი კომპანია OGT; „ომეგა 2“, რომელიც სიგარეტების (Malboro, Chesterfield, Parliament) დისტრიბუციას ახორციელებს და Iveco trucks-ისა და Chevrolet-ის სადილერო წარმომადგენლობას ფლობს; „ომეგა მოტორსი“ (BMW, Mini სადილერო წარმომადგენლობა) და გამომცემლობა „ომეგა თეგი“. „ომეგა ჯგუფის“ პარტნიორია მედიასაშუალება medianews.ge.⁹⁶

2013 წელს არხს სამაუწყებლო ლიცენზია დაუბრუნდა, რომელიც მანამდე ტელეკომპანია „აისს“ (ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი Georgian Media Production Group-ის შვილობილი) ეკუთვნოდა. ⁹⁷ ტელეკომპანია „იბერია“ ამ სიხშირეს 2004 წლამდე ფლობდა. 2004 წელს კი, როგორც კომპანიის წარმომადგენლები განმარტავენ, მთავრობამ მათ ის ძალით წაართვა, როდესაც სიგარეტის არალეგალურად წარმოების სავარაუდო ფაქტების გამოძიების მიზნით ოქუაშვილის „ომეგა ჯგუფის“ ოფისში შეიარაღებული პოლიციის ძალები შეიჭრა.⁹⁸ ლიცენზია მოგვიანებით Georgian Media Production Group-ს (ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი) გადაეცა, რომელსაც 2008-2012 წლებში „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული პირები აკონტროლებდნენ.

2012 წლის დასასრულამდე ამ სიხშირით აზარტული თამაშების არხი Play TV სარგებლობდა. ახლა კი ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერით საარქივო მასალები გადაიცემა.

http://www.parliament.ge/pages/archive_en/parl99/okuashvili_zaza_e.htm , ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=584103&app_id=663176.

⁹⁴ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=550689&app_id=627868.

⁹⁵ „ომეგა მოტორსის“ წილთა 100%-ს Frysian Engineering SA (ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები) ფლობს, ხოლო „ომეგა 2“-ისა და OGT-ის წილთა 100 %-ს - Velsa Trading Corporation (პანამა). ოქუაშვილმა თავისი საკუთრების შესახებ ინფორმაცია 2004 ქონებრივ დეკლარაციაში გაასაჯაროვა. საჯარო სამსახურის ბიურო,

<https://declaration.gov.ge/declarations/saartvelos%20parlamenti/Oquashvili%20Zaza%202004.pdf>

⁹⁶ ანგარიშის თავდაპირველ ვერსიაში ეწერა, რომ Medianews.ge „ომეგა“ ჯგუფის მფლობელობაში. ინფორმაცია შესწორდა medianews.ge-ს მიერ 2014 წლის 16 აპრილს მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. <http://www.omega2.ge/partnerships.php>

⁹⁷ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია,

http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=114576.

⁹⁸ „პატარკაციშვილის ოჯახი ტელეკომპანია „იბერიას“ სიხშირეს უბრუნებს,“ Media.ge, 8 სექტემბერი, 2013, www.media.ge/en/portal/news/301319/.

TV 11

კომედიური და გასართობი პროგრამების არხს TV 11-ს, რომელმაც ფუნქციონირება 2014 წლის თებერვალში „მაესტრო 24“-ის სიხშირეზე დაიწყო, ექსპლოატაციას შპს „ლამის შოუ სტუდია“ უწევს. ეს კომპანია 2007 წელს პროდიუსერების, რეჟისორებისა და კომიკოსების ჯგუფმა დააარსა, რომლებიც სხვადასხვა დროს „რუსთავი 2“-სთვის „შაბათის შოუსა“ და „ლამის შოუს“ აწარმოებდნენ, ხოლო ტელეკომპანია „იმედისათვის“ პროექტებს - „ლამის შოუ ოთარ ტატიშვილთან ერთად“, „რომ გადახვალ, გააჩერე“ და „შუა ქალაქში“.⁹⁹

შპს „ლამის შოუ სტუდიის“ მფლობელები არიან დავით გოგიჩაიშვილი (26%), ივანე ჭელიძე (26%), ირაკლი კაკაბაძე (26%), გოჩა კორხელაური (6%), გიორგი ჯანელიძე (6%), ირაკლი ვახტანგიშვილი (6%), მერაბ დევიძე (2%) და ვახტანგ კაკაურიძე (2%). საჯარო რეესტრის მონაცემებით, არც ერთი დამფუძნებელი სხვა ქართულ კომპანიაში აქციებს არ ფლობს.¹⁰⁰

ინტერვიუებში დავით გოგიჩაიშვილმა განაცხადა, რომ „ლამის შოუ სტუდიასა“ და ტელეკომპანია „მაესტროს“ შორის „მაესტრო 24“-ის ჩანაცვლების შესახებ პარტნიორული შეთანხმება შედგა და რომ პროგრამიდან შემოსულ სარეკლამო შემოსავლებს „მაესტრო“ და „ლამის შოუ სტუდია“ გაინაწილებენ.¹⁰¹

„პალიტრა მედია“

„პალიტრა მედია“ საქართველოს უმსხვილესი მედია ჰოლდინგია, რომელიც ჰორიზონტალურადაცაა ინტეგრირებული (რაც იმას ნიშნავს, რომ ის სხვადასხვა სახის მედიასაშუალებას ფლობს) და ვერტიკალურადაც - ფლობს არა მხოლოდ გაზეთებს, არამედ სტამბებსა და სადისტრიბუციო ქსელს, რითაც თავად აკონტროლებს მედიაპროდუქტის წარმოების ყველა საფეხურს.

„პალიტრა მედიაში“ შედის:

- ახალი ამბების სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ (ipn.ge);
- „რადიო პალიტრა“;
- საკაბელო ტელეარხი „პალიტრა TV“;
- გაზეთები: „კვირის პალიტრა“, „სიტყვა და საქმე“, „ყველა სიახლე“, „ლელო“ და ინგლისურენოვანი „Georgian Joornal“;
- ჟურნალები: „გზა“, „რეიტინგი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ოჯახის მკურნალი“, „კარიბჭე“, „არსენალი“, „კარუსელი“, „დაქალი“, „ისტორიანი“, „საბავშვო კარუსელი“, „ავტო ბილდი“, „გემრიელი“, „ბროწეული“;

⁹⁹კომპანიის ვებ გვერდი: <http://www.nightshowstudio.ge/>.

¹⁰⁰ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=60260&app_id=70042.

¹⁰¹ „TV 11 „მაესტრო 24“-ის ადგილს თებერვლიდან დაიკავებს,“ media.ge, 10 იანვარი, 2014, <http://www.media.ge/ge/portal/news/302057/>, „რა გარიგება დაიდო "მაესტროსა" და დათო გოგიჩაიშვილის გუნდს შორის“, რეიტინგი, 24 დეკემბერი, 2013, <http://www.reitingi.ge/top-news/1282-ra-garigeba-daido-maestrosa-da-datho-gogichaishvilis-gunds-shoris-imeri-didkhans-ver-chamoyalibda.html?lang=ka-GE>.

- ვებ გვერდები: kvirispalitra.ge, sportall.ge, mkurnali.ge, palitratv.ge, ipn.ge, interpressnews.ge, georgianjournal.ge, marao.ge, saqme.ge, photokonkurs.ge, astrologi.ge;
- წიგნების მაღაზია „ბიბლუსი“, 26 მაღაზიისაგან შემდგარი ქსელი, რომელთაგან 9 თბილისში მდებარეობს;
- საგამომცემლო სახლები: „კოლორი“ და „ლელო“;

„პალიტრა მედია“ ირაკლი თევდორაშვილსა (75%) და ზაზა ბუაძეს (25%) ეკუთვნის.¹⁰² „პალიტრა ჯგუფის“ კუთვნილი რამდენიმე კომპანია ცალკე სუბიექტებად არის რეგისტრირებული, თუმცა იმავე ორი აქციონერის საკუთრებას წარმოადგენს, მათ შორისაა: წიგნებისა და გაზეთების სადისტრიბუციო კომპანია „ელვასერვისი“, გამომცემლობა „პალიტრა L“ და ჯგუფის ფლაგმანი გაზეთი „კვირის პალიტრა“. ზემოაღნიშნული ორი ბიზნესმენი აქციებს ფლობს აგრეთვე საგამომცემლო მომსახურების რამდენიმე სხვა კომპანიაში. ესენია: შპს „გოდოლი +“, შპს „პოლიგრაფიული მასალები“ და შპს „სტამბა 21“.

თევდორაშვილი ნათესავებთან, გიორგი და ივანე თევდორაშვილებთან ერთად რამდენიმე კომპანიის თანამფლობელია. ესენია: შპს D.A.G., შპს „ფასადი“, შპს „სინათლე“ და შპს „სპეცმონტაჟი“.

მთავრობაში მისვლამდე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი „კვირის პალიტრაში“ ბიზნესის განვითარების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ქუმსიშვილი (10%) და „კვირის პალიტრა“ (40%) შპს „რეშენალ სოლუშენსის“ აქციონერები არიან, რომელიც ფასდაკლებების ვებ გვერდს hotsale.ge-ს უწევს ოპერირებას.¹⁰³ თავის ბოლო ქონებრივ დეკლარაციაში, რომელიც ქუმსიშვილმა 2014 წლის დასაწყისში წარადგინა, მინისტრის მოადგილეს გასულ წელს ვებგვერდიდან მიღებული 8 700 ლარის ოდენობის შემოსავალი აქვს დეკლარირებული. უფრო ადრე ის შპს „ბიზნესისა და ინოვაციის საინვესტიციო ფონდის“ ხელმძღვანელი და თანამფლობელი იყო, რომლის სხვა თანამფლობელები „კვირის პალიტრის“ მესაკუთრეები იყვნენ, მაგრამ 2012 წლის მიწურულს ქუმსიშვილმა ამ კომპანიაში საკუთარი წილი გაყიდა.¹⁰⁴

რადიო „საქართველო“, Music Box, Black Sea Sat

გურამ ჩიგოგიძე ფლობს რადიო „საქართველოს“, ქვეყნის მასშტაბით რადიოსადგურების უმსხვილეს ჯგუფს, რომელსაც მიეკუთვნება „არ დაიდარდო“, „ფორტუნა“, „ფორტუნა +“ და „ავტორადიო“.

¹⁰² ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=634437&app_id=717837.

¹⁰³ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=477102&app_id=552901.

¹⁰⁴ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=390746&app_id=452693; https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=469988&app_id=545694.

მისი შვილის **ზურაბ ჩიგოგიძის** საკუთრებაშია სამშენებლო კომპანია „ბლექ სი გრუპი,“ რომელსაც „ბლექ სი სატივ“ ეკუთვნის („ბლექ სი სატი“ სატელიტური ოპერატორია Turksat-ზე, რომელსაც მხოლოდ 5 000-მდე აბონენტი ჰყავს) და მუსიკალური ვიდეოარხი Music Box.¹⁰⁵ ზურაბ ჩიგოგიძეს ასევე ეკუთვნის ტელეკომპანია „თბილისის“ აქციათა 70%. ამ კომპანიის მფლობელობაშია ის სიხშირე, რომელზეც Music Box მაუწყებლობს. „თბილისის“ აქციათა დანარჩენი 30% ალექსანდრე თავაძეს ეკუთვნის.¹⁰⁶ ჩიგოგიძე ადრე უდიდესი ქართული საკაბელო ოპერატორის „აიეტის“ დირექტორი იყო. ეს კომპანია ახლა თავის კლიენტებს Super TV-ის სახელით უწევს მომსახურებას.¹⁰⁷

ბეჭდური და ონლაინ მედია

„ასავალ-დასავალი“

გაზეთი „ასავალ-დასავალი“, რომელიც უმცირესობებისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულებით გამოირჩევა, **ლაშა ნადარეიშვილს** ეკუთვნის. იგი აღნიშნულ გაზეთს 1990 წლიდან გამოსცემს. ნადარეიშვილი რამდენიმე სხვა კომპანიაშიც ფლობს წილს - ყველა მთგანი „ასავალ-დასავალის“ გამოქვეყნებასთან არის დაკავშირებული. ნადარეიშვილი ასევე ფლობს შპს „საქართველოს დეპეშათა სააგენტოს“ და საქართველოს პრესის ასოციაციის გამგეობის წევრია.¹⁰⁸

„ალია“ და „კვირის ქრონიკა“

შპს „ალია ჰოლდინგი“ ორ გაზეთს - „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ - გამოსცემს, რომლებიც პერიოდულად ქსენოფობიური და ჰომოფობიური პუბლიკაციებით გამოირჩევა. „ალია“ კვირაში ოთხჯერ გამოდის, ხოლო მისი პარტნიორი „კვირის ქრონიკა“ - კვირაში ერთხელ. „ალია ჰოლდინგის“ სრული მფლობელია **გიორგი ბრეგვაძე**, რომელსაც სხვა კომპანიებში აქციები არ გააჩნია.¹⁰⁹

„ლიბერალი“

ყოველთვიური (ადრე ყოველკვირეული) პოლიტიკური ჟურნალი „ლიბერალის“ დამაარსებელია **შორენა შავერდაშვილი**, რომელიც კომპანიის აქციათა 60%-ს ფლობს. 2013 წლის დეკემბერიდან მოყოლებული კომპანიის წილების

¹⁰⁵ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კომპანიების მფლობელობის ონლაინ ბაზა, <http://www.companyinfo.ge/en/people/534267/>.

¹⁰⁶ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=249154&app_id=274989.

¹⁰⁷ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=46400.

¹⁰⁸ გაზეთი „ასავალ-დასავალი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 204878944; შპს „საქართველოს დეპეშათა სააგენტო“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404913634; შპს „სამაუწყებლო კომპანია ასავალ-დასავალი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 454406722, შპს „მედიაკორპორაცია ასავალ-დასავალი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 454406713; შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“, საიდენტიფიკაციო კოდი: 202460755.

¹⁰⁹ შპს „ალია ჰოლდინგი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 211359457.

მფლობელები არიან ასევე ჟურნალისტები **ზურა ვარდიაშვილი** და **ლია ზაკაშვილი**, თითოეულს აქვიათა 20% ეკუთვნის.¹¹⁰ შავერდაშვილი ასევე ფლობს 50%-იან წილს M Publishing-ში, რომელიც გარკვეული ხნის წინ ჟურნალ „ცხელ შოკოლადს“ გამოსცემდა.¹¹¹ შავერდაშვილს ადრე წილები ჰქონდა შპს „მედია სახლ დეკომშიც“ (შპს Venture Security Holding Limited-ის საშუალებით), რომელიც რადიო „ცხელი შოკოლადის“ სამაუწყებლო ლიცენზიას ფლობს.¹¹²

„რეზონანსი“

ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“ **ზურაბ მაჭარაძის** საკუთრებაა, რომელიც ასევე ფლობს კომპანიებს „გაზეთი რეზონანს ვიქლი“ და საინფორმაციო სააგენტო Renew (ეს ორი კომპანია, სავარაუდოდ, არ ფუნქციონირებს). რეზონანსი ასევე უშვებს ყოველკვირეულ გაზეთს „მთელი კვირა“ და ლიტერატურული პროფილის ყოველკვირეულ გამოცემას „გალაკტიონი“.¹¹³

მაჭარაძე ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში პოპულარული გასართობი რადიოსადგურის „რადიო 105“-ის დამფუძნებლებს შორის იყო. ახლა მის მფლობელობაშია კომპანია სახელად შპს „გაზეთი რადიო 105“, რომელიც, სავარაუდოდ, არ ფუნქციონირებს.¹¹⁴

მაჭარაძე „ქართული პრესის ინსტიტუტის“, „საქართველოს პრესის ასოციაციის“ და „ჟურნალისტური კვლევის ცენტრის“ საბჭოს წევრია.¹¹⁵ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ტულუში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის გამგეობის წევრია, მათ შორის „საქართველოს პრესის ასოციაციისაც.“ ის ანალიტიკური ცენტრის „ფონდი ლიბერალური აკადემია - თბილისი“ და არაკომერციული ორგანიზაციის „ჟურნალისტები მომავლისათვის - სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული თანამშრომლობის ინიციატივა“ თავმჯდომარეა. ეს უკანასკნელი ექსპლოატაციას უწევს ახალი ამბების ინგლისურენოვან ვებგვერდს DFWatch.net.¹¹⁶

„ბათუმელები“ და Netgazeti.ge

„ბათუმელები“ აჭარაში წამყვანი გაზეთია, რომელსაც ასევე ეკუთვნის ახალი ამბების ვებ გვერდი Netgazeti.ge. ის ოთხი პირის საკუთრებას წარმოადგენს: **დავით გურგენიძის (25%), მზია ამალაშვილის (25%), მურად ამალაშვილისა (25%) და ლეილა თურაძის (25%).**

¹¹⁰ შპს „ლიბერალი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 205271971.

¹¹¹ შპს M Publishing, საიდენტიფიკაციო კოდი: 205043594.

¹¹² შპს Venture Security Holding Georgia, საიდენტიფიკაციო კოდი: 404900256.

¹¹³ შპს „ყოველდღიური გაზეთი რეზონანსი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 202224609; სპს „გაზეთი რეზონანს ვიქლი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 204550002; შპს „გაზეთი ბიზნეს რეზონანსი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 205235253;

¹¹⁴ შპს „გაზეთი რადიო 105“, საიდენტიფიკაციო კოდი: 204549952.

¹¹⁵ „ჟურნალისტური კვლევის ცენტრი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 205280453;

¹¹⁶ ფონდი „ლიბერალური აკადემია - თბილისი“, <http://www.ei-lat.ge/?lang=en-GB>;

ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=450617&app_id=524262.

გურგენიძე „ბათუმელების“ მფლობელებს შორის ერთადერთია, ვინც სხვა კომპანიებთანაც იყო კავშირში. 2013 წლის ივლისამდე მის მფლობელობაში იყო აჭარის საკაბელო ოპერატორის „თანამგზავრი XXI“-ის აქციათა 33%.¹¹⁷

Prime Time News

ყოველკვირეულ გაზეთ „პრაიმ ტაიმსა“¹¹⁸ (<http://ptpress.ge/>) და ახალი ამბების ონლაინ სააგენტოს Prime Time News-ს (<http://primetimenews.ge>) შპს „პრაიმ თაიმი“ ფლობს, რომელიც გიორგი ქუთათელაძეს და თამარ ფხაკაძეს ეკუთვნის.¹¹⁹

„პირველი“

საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ (Pia.ge) „ქართული ოცნების“ ამჟამინდელმა დეპუტატმა ანი მიროტაძემ დააფუძნა. ვებგვერდი მისი ოჯახის წევრების საკუთრება იყო. 2013 წლის აგვისტოში კომპანია ხვიჩა სექანიამ შეისყიდა, რომელიც ასევე ფლობს კომპანია „ფაბლიქ ქარს.“ ეს კომპანია ერთ-ერთია იმ ოთხი კომპანიიდან, რომლებიც თბილისში ყვითელი სამარშრუტო ტაქსების ექსპლოატაციას ახორციელებს. მას შემდეგ, რაც სექანიამ ზემოაღნიშნული მედიასაშუალება შეიძინა, კომპანიის დირექტორად გაზეთ „ალიას“ ყოფილი მთავარი რედაქტორი დიმიტრი ტიკარაძე დაინიშნა.¹²⁰

სექანია ფლობს ასევე „თბილისი პარკინგის“ წილთა 70%-ს¹²¹, ხოლო ლორენცო შარანგიასთან ერთად ის შპს „ფორტუნა ბათუმის“ თანამფლობელია. მის სხვა აქტივებს შორისაა: მანქანების მაღაზია შპს „ავტო პორტალი,“ (100%), შპს International-ი (100%), შპს „ფორდ-სერვისი“ (50%), შპს Steady Logic-ი (15%), სათამაშო აპარატების კლუბი „ლაქი გეიმ“ (20%), შპს „სი-თი-თი“ (25%), შპს „მუშტიდი“, შპს „ჯისისი“ (42.5%) და შპს „ჩიტო-გვრიტო“ (100%).¹²² სექანია შპს

¹¹⁷ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=264281&app_id=302099

¹¹⁸ ანგარიშის თავდაპირველ ვერსიაში ეწერა, რომ ამჟამად გაზეთ „პრაიმ თაიმსა“ და საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ თაიმ ნიუსს“ ექსპლოატაციას შპს „პრომოლუმენ მედია“ უწევს, რომლის 80%-საც ოფშორში რეგისტრირებული სუბიექტი Broadnet Projects-ი ფლობს. ინფორმაცია შესწორდა შპს „პრაიმ თაიმის“ მიერ 2014 წლის 16 აპრილს მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

¹¹⁹ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=324965&app_id=373259

¹²⁰ ინტერპრესნიუსი, 22 ივლისი, 2011, <http://www.interpressnews.ge/en/society/30332-dimitri-tikaradze-editor-of-alia-newspaper-says-release-of-photo-reporters-was-victory-of-journalists.html?ar=A>.

¹²¹ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=222450&app_id=253900.

¹²² „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კომპანიების მფლობელობის ონლაინ ბაზა, <http://www.companyinfo.ge/en/people/385859/>.

„ნიუ ტრეიდ კომპანის“ თანამფლობელია ნოდარ გიგინეიშვილსა და ალექსანდრე თავაძესთან ერთად, რომელიც Music Box-ის აქციათა 30%-ს ფლობს.¹²³

დანართი 1:

მაუწყებლების მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 2013 წლის მე-4 კვარტალში წარდგენილი შემოსავლები.

მაუწყებელი/ოპერატორი	საერთო შემოსავლები მე-4 კვარტ. 2013 (ლარი)	მთელი შემოსავლების %
„რუსთავი 2“	15,200,494	49,3%
ტელეკომპანია „იმედი“	8,163,676	26,5%
„მაესტრო“	2,524,001	8,2%
„რადიო საქართველო“ („ფორტუნა“, „ფორტუნა+“, „არ დაიდარდო“, „ავტორადიო“.)	1,325,915	4,3%
„გლობალ მედია ჯგუფი“	1,003,430	3,3%
რადიო „იმედი“	365,689	1,2%
„25-ე არხი“	322,571	1,0%
ტელეკომპანია „კავკასია“	144,446	0,5%
TV3	141,656	0,5%
„სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტელეკომპანია „ტაბულა“)	122,261	<0.5%
„რადიოცენტრი პლუს“ (რადიო „პალიტრა“)	117,702	<0.5%
ტელეკომპანია „თბილისი“ (Music Box)	101,570	<0.5%
ტელეკომპანია „ოდიში“	100,226	<0.5%
„ობიექტივი“	88,911	<0.5%
ტელეკომპანია PIK	87,191	<0.5%
ტელეკომპანია „რიონი“	84,801	<0.5%
„თრიალეთი“	81,037	<0.5%
„I სტერეო“	77,780	<0.5%
კორტესი-გიდაგო (რადიო „ჯაკო“)	72,229	<0.5%
ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია	67,796	<0.5%
„ევრიკა“ („ერთსულოვნება“)	62,878	<0.5%
„იმპერია“ (მეცხრე არხი, ახალციხე)	40,299	<0.5%
„ძველი ქალაქი“	40,177	<0.5%
ტელეკომპანია „გურჯაანი“	38,918	<0.5%
სისტემა გამა (რადიო France International)	38,329	<0.5%
რადიო „არტი“	36,934	<0.5%
სამაუწყებლო კომპანია „მე-9 ტალღა“	35,865	<0.5%
„მარნეული ტვ“	35,185	<0.5%
სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზია“	29,538	<0.5%

¹²³ ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან,

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=55686&app_id=65133.

რ-რადიო	26,700	<0.5%
ტელევიზია „ეგრისი“	22,913	<0.5%
ტელერადიოკომპანია „არგო“	21,789	<0.5%
ასოციაცია „ათინათი“	19,971	<0.5%
„ერთსულოვნება“	18,944	<0.5%
ტელე-რადიო პრესკომპანია „ზარი“	18,460	<0.5%
ტელეკომპანია „თანამგზავრი“	16,243	<0.5%
დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია „გურია“	15,831	<0.5%
სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთი“	15,747	<0.5%
დამოუკიდებელი ტელეკომპანია „მეგა-ტვ“	14,915	<0.5%
„სამაუწყებლო სახლი“ (ფოლკ რადიო)	14,000	<0.5%
ჯი-ემ-სი	12,674	<0.5%
ტელერადიოკომპანია „ბორჯომი“	12,016	<0.5%
„შონი 21“ (საკაბელო პროვაიდერი, გლდანო)	9,520	<0.5%
გიორგი კოლუაშვილი	9,353	<0.5%
„მედია სახლი დეკომი“ (რადიო „ცხელი შოკოლადი“)	8,508	<0.5%
„პალიტრა TV“	8,378	<0.5%
ბექა-ჯი (საკაბელო პროვაიდერი, ბათუმი)	7,549	<0.5%
ტელევიზია „დია“	4,550	<0.5%
ევროპა პლუს თბილისი	4,000	<0.5%
კორნელი შულღაძე (რადიო „იმერი“, ზესტაფონი)	3,768	<0.5%
„სატელიტსერვისი“ (საკაბელო პროვაიდერი, ქუთაისი)	3,445	<0.5%
„ფოთი ტვ“	3,291	<0.5%
TV ERA	2,889	<0.5%
„ომეგა“ (მანგლისი)	1,695	<0.5%
კომედი ტვ	1,000	<0.5%
ჯორჯიანმეგატიმბერი (საკაბელო პროვაიდერი, ფოთი)	40	<0.5%
GS GROUP	0	
Style TV	0	
TV8	0	
„ეკონომისტთა და მეწარმეთა ფონდი“ (საკაბელო პროვაიდერი, თბილისი)	0	
ტელეკომპანია „იბერია“	0	
„კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია“ (რადიო „მუზა“)	0	
„მაგთიკომი“	0	
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	0	

S-TV (თბილისი)	0
„გლობალ კონტაქტ კონსალტინგი“ („გლობალ TV“)	0
სულ	30,849,692
<i>წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია</i>	